გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №47

2010 წლის 12 ნოემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის შემდეგი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება (სასურველია ტურიზმის მენეჯმენტში, ბიზნესის ადმინისტრირებაში ან ზოგად მენეჯმენტში);

ბ) ინგლისური და რუსული ენების ცოდნა (დამატებითი უცხო ენ(ებ)ის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა და ინტერნეტის მოხმარების უნარი.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ხმალაძე